ჩინეთის მხარის მიერ ვიეტნამის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დანაშაულებრივი მოქმედება ეროვნული ინტერესებისა და ეროვნული ღირსების ფეხქვეშ გაუთელავს. ჩინეთის ხელისუფალნი განაგრძობენ მტრულ ინტერვიტენციურ პოლიტიკას. ვიეტნამის სოციალისტური რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო გულისწყლრომით გმობს ჩინეთის ხელისუფალთა დანაშაულებრივ მოქმედებას და მოითხოვს მათგან დაუყოვნებლივ გაათავისუფლონ ვიეტნამის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელი, აგრეთვე შეწყვიტონ ვიეტნამის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა და სხვა დანაშაულებრივი მოქმედება ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ. ჩინეთის მხარეს სრული პასუხისმგებლობა ეკისრება მის დანაშაულებრივი აქციების შედეგებისათვის.

რეიუნიონის კომუნისტთა ბოზიცია

ჰავანა. (საკდესი). რეიუნიონის კომუნისტური პარტიის მთავარი ამოცანა ის არის, რომ არ დაუშვას რეიუნიონის პრობლემის ნეოკოლონიალისტური გადაწყვეტა, განაცხადა გაზეთ „გრაანმასათვის“ მიცემულ ინტერვიუში რეიუნიონის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა პოლ ვერჟესმა, რომელიც კუბაში ვიზიტად იმყოფება. რეიუნიონის კომუნისტურმა პარტიამ წამოაყენა ლოზუნგი, რომლის მიზანია ბრძოლა, რათა რეიუნიონს მიანიჭოს ავტონომია, განმორციელდეს გარდაქმნათა ვრცელი პროგრამა. იგი კერძოდ, ითვალისწინებს რადიკალურ აგრარულ რეფორმას, რათა მოისპოს ლატიფუნდისტთა ძალაუფლება, დამყარდეს კონტროლი საგარეო ვაჭრობიდამე, აგრეთვე გაუქმდეს საფრანგეთის მონოპოლია რეიუნიონის საგარეო ვაჭრობაზე.

წვრილ მიწათმფლობელთა და ხელოსანთა გაჩანაგებამ, რაც საფრანგეთის კოლონიური ხელისუფლების პოლიტიკის შედეგი იყო, თქვა მან, გამოიწვია უმუშევრობის მკეთრი ზრდა. უმუშევრობამ მოიცვა კუნტლის ნახევარი მოსახლეობის 300 ათასი კაცი.

შეეხო რა რეიუნიონის კომუნისტური პარტიის საქმიანობას, პ. ვერჟესმა აღნიშნა, რომ შეიმჩნეება მისი გაგლენის მნიშვნელოვანი ზრდა. აბსოლუტ რეიუნიონის კომპარტია ქვეყნის მთავარი ოპოზიციური ძალა.

მარქსიზმ-ლენინიზმის პრინციპების ერთგულება

ნიუ-იორკი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინდოეთის კომუნისტურმა პარტიებმა ყველა მარქსისტულ-ლენინურ პარტიას მოუწოდეს კიდევ უფრო შეაკავშირონ თავიანთი რიგები, განამტკიცონ პროლეტარული ინტერნაციონალიზმი, ძმობა საბჭოთა კავშირთან, სოციალისტურ სახელმწიფოთა თანამეგობრობასთან. ეს მოწოდება მოცემულია ამერიკის შეერთებული შტატების და ინდოეთის კომუნისტური პარტიების ხელმძღვანელობის წარმომადგენელთა ნიუ-იორკის შეხვედრის შედეგებისადმი მიძღვნილ ერთობლივ განცხადებაში, რომელიც გაზეთმა „დეილი უორლდმა“ გამოაქვეყნა. ინდოეთის კომუნისტები პირველად ჩამოვიდნენ ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიის დელეგაციას მეთაურობდა მისი ეროვნული თავმჯდომარე ჰ. უინსტონი, ინდოეთის კომუნისტური პარტიის დელეგაციას — ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წევრი, ინდოეთის კომუნისტური პარტიის ეროვნული საბჭოს მდივანი ბ. გუპტა.

ორი ქვეყნის საშინაო პოლიტიკურ ვითარებაში არსებული განსხვავების მიუხედავად ორივე პარტიამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მათ წინაშე დგას საერთო კარდინალური ამოცანები სოციალური პროგრესის, დემოკრატიის, მშვიდობისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

ორივე პარტიის მოწოდებაა კვლავაც მაღლა ეჭიროთ მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ძლევამოსილი დროშა.

ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინდოეთის კომპარტიები, აღნიშნულია ერთობლივ განცხადებაში, გმობენ პეკინის ხელისუფალ ხელმძღვანელთა მოღალატურ პოლიტიკას.

ორივე პარტიამ განაცხადა, რომ ძმურ სოლიდარობას უცხადებენ ბჭირ ვიეტნამელ ხალხს, რომელიც კვლავ იძულებულია დაიცვას თავისი დამოუკიდებლობა და თავისუფლება პეკინის მოღალატური პოლიტიკისა და კამპუჩიის სამხედრო პროვოკაციების. გამო. მათ გამოხატეს სოლიდარობა ზამბიაელ პატრიოტულ ფრონტისადმი, სამხრეთ-დასავლეთ აფრიკის სახალხო ორგანიზაციისა და სამხრეთ აფრიკის აფრიკელთა ეროვნული კონგრესისადმი, რომლებიც იბრძვიან აპარტეიდის, რასიზმის, კოლონიალიზმის წინააღმდეგ.

ორივე პარტიას გადაწყვეტილი აქვს მტკიცედ დაუჭირონ მხარი პალესტინის განთავისუფლების ორგანიზაციის ბრძოლას ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტის ნამდვილი მოწესრიგების მიღწევისათვის.

ინდოეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების კომპარტიები მიესალმნენ სომოსას დიქტატურის წინააღმდეგ აჯანყებული მამაცი ნიკარაგუელი ხალხის ბრძოლას.

ფოტო ამსხილებს

ძალადობის მსხვერპლნი

ისრაელის ხელმძღვანელობა ოკუპირებულ არაბულ ტერიტორიებზე უხეშად არღვევს ადამიანის ელემენტარულ უფლებებს. საოკუპაციო ხელისუფლება თვითნებობასა და უკანონობას სჩადის არაბული მოსახლეობის მიმართ. მათ თავიანთი სამკვიდროდან ძალულებით ხდევნიან. შედეგად ამ მიწებს „სახელმწიფო კუთვნილებად“ აცხადებენ და ახალ ისრაულ დასახლებებს აშენებენ.

კემპ-დევიდის შეთანხმებამ ცხადყო, რომ პრეზიდენტი სადათი სინის ნახევარკუნძულიდან ისრაელის ჯარების გაყვანის მაგივრად ტელ-ავივის პირობებს დათანხმდა. ეს კი პალესტინის პრობლემისა და პალესტინის არაბი მოსახლეობის უფლებათა უგულებელყოფაა.

ხურასოზი: პალესტინელ ლტოლვილთა ბანაკში.

საბჭოსნი ფოტოქრონიკა.

ბავარია არჩევნების შემდეგ

ბონი. (საკდესის კორესპონდენტი ა. ურბანი იუწყება). გერმანთა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ათი მხარიდან ერთ-ერთის — ბავარიის ლანდტაგს მორიგი არჩევნები, ამით დამთავრდა სამხარეო პარლამენტების წლევანდელი ბატალიების სერია. აქამდე ასეთი არჩევნები მოეწყო ჰამბურგში, ჰესენში და ბავარიაში, სადაც 11 მილიონამდე კაცი ცხოვრობს, მართლაც რეაქციული ქრისტიანულ-სოციალური კავშირი, რომელსაც სათავეში უდგას ფ. ი. შტრაუსი.

ახლანდელი არჩევნების შედეგები — ხმების 59,1 პროცენტი მიიღო ქრისტიანულ-სოციალურმა კავშირმა, 31,4 პროცენტი — გერმანიის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ და 6,2 თავისუფალ დემოკრატთა პარტიამ, — მოწმობს პოლიტიკური ძალების განაწილებაში მომხდარ ზოგიერთ ძვრას. პოლიტიკურ პიმომხილველებს ორრეზენები, უწინარეს ყოვლისა, ითვლიან ნიმანდობლივად, რომ რამდენადმე იკლო ქრისტიანულ-სოციალური კავშირის მომხრეთა რიცხვმა, რომელმაც წინა სამხარეო არჩევნებში — 1974 წლის ოქტომბერში ხმების 62,1 პროცენტი მიიღო.

ამავე დროს გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტია და თავისუფალ დემოკრატთა პარტია ახლანდელ არჩევნებში უფრო მტკიცედ გამოიყურებოდნენ ახლო, ოფიციალური წინასწარი მონაცემების თანახმად — ქრისტიანულ-სოციალურ კავშირის ლანტაგში ექნება 129 მანდატი (წინა შემადგენლობაში ჰქონდა 132).

სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ მიიღო 65 მანდატი (64) და თავისუფალ დემოკრატთა პარტიამ — 10 მანდატი (8).

მთავრობის კოალიციის წარმომადგენლებმა ბონში ქმაყოფილება გამოთქვეს ბავარიის არჩევნების შედეგის გამო.

უაღრესად რთულ პირობებში ეწეოდა თავის საარჩევნო კამპანიას გერმანელთა კომპარტია — მშრომელთა ინტერესების ნამდვილი ქომაგი. იგი ამომრჩეველს განუმარტავდა, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი და აუცილებელია დაბალანსებული შენელებისათვის, ევროპის სოციალისტურ ქვეყნებთან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თანამშრომლობის გაფართოებისათვის, განიარაღებისათვის, გამალებული შეიარაღებისა და ნეიტრონული ბომბის წინააღმდეგ ბრძოლა.

ნოგელის პრემია ფიზიკის დარგში

სტოკჰოლმი, 17 ოქტომბერი. (საკდესი). ნობელის მემკვიდრეობის ფონდის გადაწყვეტილებით ნობელის პრემია ფიზიკის დარგში მიენიჭა თვალსაჩინო საბჭოთა მეცნიერს, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრ-კორესპონდენტს ფიზიკის ინსტიტუტის ლაბორატორიის ინსტიტუტის დირექტორს აკადემიკოსს პ. ლ. კაპიცას. ეს ჯილდო მას მიეკუთვნა დაბალ ტემპერატურათა ფიზიკის დარგში ფუნდამენტური აღმოჩენებისა და კვლევა-ძიებათვის.

პრემია მიენიჭათ აგრეთვე ამერიკელ მეცნიერებს ა. პენზიასსა და რ. გილსონს კოსმოსური მიკროტალღოვანი რადიოგამოსხივების დარგში გაწეული კვლევისათვის.

ასეთი გადაწყვეტილება მიიღო სტოკჰოლმში შვეციის სამეფო მეცნიერებათა აკადემიამ.

დრო ჯერ არ დაკარგულა

ინდონეზიის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადება

ჯაკარტა, 17 ოქტომბერი. (საკდესი). ინდონეზიის მთავრობამ მიაჩნია, რომ ჩინეთის ხახალხო რესპუბლიკასთან დიპლომატიური ურთიერთობის ნორმალიზაციის დრო ჯერ არ დამდგარა, განაცხადა ჯაკარტაში გამართულ პრესკონფერენციაზე საგარეო საქმეთა მინისტრმა მ. კუსუმაათმაჯამ ნიუ-იორკიდან დაბრუნებისას, სადაც იგი მონაწილეობას იღებდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის სხდომის შუამავლობაში. მისი თქმით, ჩინეთთან ურთიერთობის ნორმალიზაციას ბევრი რამ აბრკოლებდა. უწინარეს ყოვლისა, თქვა მან, უნდა მოწესრიგდეს საკითხი მოქალაქეობის ახალი კანონის შესახებ. ძველი კანონის დებულებათა შესაბამისად მრავალი ჩინური წარმოშობის პირს შეუძლია ჰქონდეს ორმაგი მოქალაქეობა, ანუ იყოს ინდონეზიისა და ჩინეთის მოქალაქე, რაც გარკვეულ სიძნელეებს ქმნის.

გარდა ამისა, თქვა მინისტრმა, ინდონეზიის საზოგადოებრიობის მნიშვნელოვანი ნაწილი ორი ქვეყნის დიპლომატიური ურთიერთობის ნაჩქარევი აღდგენის წინააღმდეგია, რადგან კარგად ახსოვს, თუ რა ძირგამომთხრელ როლს ასრულებდა პეკინი ინდონეზიაში წინათ, მთავრობა კი ინგარიშს უწევს საზოგადოებრიობის განწყობილებას. მინისტრმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საჭიროა გამოიჩინონ სიფხიზლე ჩინეთის მიმართ, ვინაიდან პეკინს, დასძინა მან, კვლავინდებურად არ აუღია ხელი ძირგამომთხრელ მოძრაობათა წაქეზების პოლიტიკაზე.

მოკლედ

ყოვნელი ესტრიდან

მოითხოვენ მანევრების გაუქმებას

რომი. ანიფოს (უმბრიის ოლქი) საქალაქო საბჭომ მოითხოვა გაუქმონ კვირის დამლევისათვის დანიშნული მანევრები ამ რაიონში მდებარე პოლიგონზე. ორი ქალაქის — ანიფოსა და კოლეკროჩის მცხოვრებლებმა არაერთხელ განაცხადეს პროტესტი საარტილერიო ნაწილების წვრთნის ჩატარების წინააღმდეგ ალნიშნულ პოლიგონზე.

დამთვალიერებელთა ყურადღების ცენტრში

ბაღდადი. აქ დაიხურა ბაღდადის მე-15 საერთაშორისო ბაზრობა, რომელშიც მონაწილეობას იღებდა აზიის, აფრიკის, ევროპისა და ამერიკის 60 ქვეყანა. დამთვალიერებელთა ყურადღების ცენტრში იყო სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების პავილიონები, უწინარეს ყოვლისა საბჭოთა კავშირის პავილიონი. ბაზრობის ორი კვირის მუშაობის განმავლობაში სსრ კავშირის პავილიონი დაათვალიერა 600 ათასზე მეტმა კაცმა. მრავალი ჩანაწერი დამთვალიერებელთა წიგნში მოწმობს საბჭოთა ექსპოზიციის უდიდეს წარმატებას.

ინფლაციის მიზეზი

ნიუ-იორკი. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა, რომელსაც ახასიათებს უზომო სამხედრო ხარჯები, განუწყვეტელი ინფლაციის მთავარი მიზეზია ქვეყანაში. ასეთ დასკვნამდე მოდის ამერიკელთა უმრავლესობა, თანახმად საზოგადოებრიობის აზრის უკანასკნელი გამოკითხვისა, რომელიც გალუპის ინსტიტუტმა მოაწყო.

მოწამვლის მიზეზი გარემოს გაჭუჭყიანებაა

იტალიის ჯანმრთელობის დაცვის სამმართველოს მონაცემებით ვენუსია და მასთან ახლო მდებარე ქალაქების რაიონში მავნე ბაქტერიებისა და შხამიანი ნივთიერებების შემადგენლობა სანაპირო ზონაში 10-12-ჯერ აღემატება დასაშვებ დონეს, სახელგანთქმული „ცისფერი“ ნეაპოლის ყურის წყლის ქიმიურმა ანალიზმამ თავზარი დასცა ქვეყნის მეცნიერებს. ყურის სანაპიროზე მდებარე საწმენდი ნაგებობების სისტემა ფაქტიურად არ მოქმედებს, და ყოველ წუთს, იტყობინება იტალიის პრესა, ზღვაში ჩადის ასობით კუბური მეტრი ნარჩენები.

ასეთივე მდგომარეობაა იტალიის სხვა სანაპირო ქალაქების რაიონებში. ამისათვის პასუხისმგებლობა აკისრებათ იმ ფირმებს, საწარმოების მეპატრონეებს, რომლებიც ყოველწლიურად ხმელთაშუა ზღვაში უშვებენ 600 ათას ტონაზე მეტ მავნე ნარჩენებს, რაც საბამს სიცოცხლის ყველა ფორმას. ხმელთაშუა ზღვის ქვეყნების მიერ წყალში ჩაშვებული შხამიანი ნივთიერებების დაახლოებით 80 პროცენტი იტალიის წილად მოდის.

დასავლეთ გერმანიის ქალაქ ჰანაუს მახლობლად მდინარე მაინში ჩაუშვეს რამდენიმე ათასი ლიტრი ნავთობის ნარჩენები. 20 კილომეტრზე წყლის ზედაპირი დაფარულია შხამიანი აფსკით. საფრთხე შეექმნა რამდენიმე ქალაქის წყლით მომარაგებას.

ჰესენის მხარის გერმანელთა კომპარტიის ორგანიზაციამ მოითხოვა სასამართლო პასუხისგებაში მისცენ ამ ფირმების მეპატრონენი, რომლებმაც გაჭუჭყიანეს მდინარე.

როგორც პრესა იტყობინება, საფრანგეთის დიდ მდინარეებში ყოველწლიურად 6 მილიონ ტონაზე მეტი ნარჩენები ჩადის. მარსელში, ფოს-სიურ-მერში, კასისსა და სხვა ხანავსადგურო ქალაქებში წარმოების ნარჩენები აჭუჭყიანებენ და წამლავენ ზღვას.

ამ შემთხვევებში საფრანგეთში მუდამ იმარჯებს მოგების წყურვილი, წერს გაზეთი „ლუმანიტე“. მეწარმეებისათვის ჯარიმის გადახდა უფრო ხელსაყრელია, ვიდრე ძვირად ღირებული საწმენდი ნაგებობების აშენება და შენახვა.

ქვეყნის საზოგადოებრიობა მოითხოვს, რომ ხელისუფლებამ საწარმოების მეპატრონეებს პასუხი აგებინონ გარემოს შეგნებული მოწამვლისათვის.

მაქსიმალურ მოგებას გამოდევნებული ამერიკელი ბიზნესმენები ხშირად წამლავენ გარემოს და საფრთხეს უქმნიან ამერიკის შეერთებული შტატების მილიონობით მცხოვრების ჯანმრთელობას. როგორც კალიფორნიის სურსათის და ფოფლის მეურნეობის დეპარტამენტის მიერ მოწყობილმა გამოკვლევამ ცხადყო, ამ შტატის — ამერიკის შეერთებული შტატების ბაზრებზე ფოფლის მეურნეობის პროდუქციის ერთ-ერთი უდიდესი მიმწოდებლის ფერმერთა მეურნეობებში გამოიყენება დაახლოებით 70 სახეობის პესტიციდი, რომელიც ოფიციალურად აკრძალულია ამის გამო, რომ დამღუპველად მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობასა და გარემოზე.

ბილი და ბოსტნეული, რომელიც ბაზარზე მოდის, მხოლოდ ზერელედ მოწმდება, აღნიშნულია გამოკვლევაში. ამიტომ ხშირად მაღაზიების დახლებზე უხარისხო პროდუქტები აწყვია. ამის შედეგად მარტო კალიფორნიაში ყოველწლიურად მწვავე მოწამვლის დაახლოებით 1.400 შემთხვევა აღინიშნება.

ავსტრალიის ახალი სამხრეთ უელსის შტატის ხამანწკის ხარეწში მომუშავე სამი ათასი კაცი უსაქმოდ დარჩა, რადგან ავსტრალიელები თითქმის აღარ ყიდულობენ ხამანწკას. მათზე მოთხოვნილება 95 პროცენტით შემცირდა ამას წინათ დაწყებული სურსათით მოწამვლის „ეპიდემიის“ შემდეგ. მთელ ქვეყანაში ორი ათასზე მეტმა კაცმა თქვა, რომ ეროდროულად მიმართა ექიმებს მას შემდეგ, რაც ხამანწკა ჭამეს. მაინნაათ, რომ თითქმის ამდენივე დაზარალებულმა ექიმებს არ მიმართა. როგორც სანიტარიულმა სამსახურმა დაადგინა, მოწამვლის მიზეზია გარემოს გაჭუჭყიანება. (საკდესი).

„სალუტ — 6“ ფრენა გრძელდება

მაშინ იასამანი ყვაოდა, ახლა...

მეხუთე თვის დასაწყისი კოსმოსში

კოსმონავტიკის ისტორიაში უველაზე ხანგრძლივი პილოტირებული ექსპედიციის კალენდარში გადაშალა მეოთხე თვის უკანასკნელი ფურცელი. როცა ვლადიმერ კოვალიონოკი და ალექსანდრე ივანჩენკოვი ვარაუდობდნენ, აქ იასამანი ყვაოდა, ახლა კი მოსკოვსასლო კორომები უკანასკნელ, ოქროს სამოსს იცვლიან.

15 ივნისს სტარტის წინ ეკიპაჟის წევრებმა განაცხადეს, რომ მზად არიან პირველად შეასრულონ საშობლოს დავალება. ამ სურვილს — ყველაფერი ჩინებულად შესრულონ — ცხადყოფენ ამ დღეებშიც, როცა ექსპედიცია საცა უნდა დამთავრდეს.

კოსმოსში ცხოვრების მეხუთე თვის დასაწყისი ვ. კოვალიონოკმა და ა. ივანჩენკოვმა აღნიშნეს დამკვიდრული შრომით. მთელი უკანასკნელი კვირის მანძილზე ძალი საზრუნავი ის იყო, რომ მთლიანად განტვირთათ ხომალდი „პროგრეს-4“, რომელშაც სადგურში მიიტანეს საკვებისა და წყლის მარაგი, აპარატურის სარეზერვო კომპლექტები, სპეციფიური მასალები. ყველა რეკორდს, რომლებიც ეკიპაჟმა უნიკალური ფრენის დროს დაამყარა, ორმაგობის, როცა კოსმონავტებმა პრაქტიკულად დამთავრეს სატვირთო ხომალდის დაცვა, კიდევ ერთი მიღწევა შეეძატა. სატვირთო ხომალდების სამი რეისის განმავლობაში ეკიპაჟმა, როგორც დოკერები იტვირთნენ ხოლმე, დაამუშავა ოთხ ტონამდე ტვირთი.

— შეიძლება თუ არა მუშაობის ეს მოცულობა შევადაროთ დედამიწაზე წესრულებულ ამგვარ ოპერაციებს?

ამ კითხვაზე პასუხის ნაცვლად ფრენის ხელმძღვანელის მოადგილემ ვიქტორ ბლაგოვმა გვიჩვენა „პროგრეს-4“ ნაკვეთრებში ტვირთის განლაგების სქემა. ყუთები, კონტეინერები, ტეკვადონები, ყველაფერი მჭიდროდ არის ჩაწყობილი ხომალდის კედლების მთელ პერიმეტრზე განლაგებულ „ტროუმებში“, ყველაფერი მტკიცედ არის დამაგრებული თავის ადგილას.

კოსმონავტებს მუშაობის დროს აქვთ სპეციალური ტანსაცმელი, რომელიც ღვედებთა და საკეტებით არის აღჭურვილი. ტვირთის გადაზიდვა არსებითად განსხვავდება დედამიწაზე ამგვარი ოპერაციებისაგან. აი როგორ გამოიყურება ეს. უნდა გათავისუფლონ სამაგრები, მიიტანონ კონტეინერი ხელთთამასა ან ქამარზე, ოღონდ უბიძგონ მას და გაცურდნენ გვერდიდან მის კვალდაკვალ. სადგურში ტვირთი უნდა შეაჩეროს და დაამაგრონ. თუმცა ტვირთს კოსმოსში წონა არა აქვს, მაგრამ ამის გაკეთება ადვილი საქმე როდია: მასა ხომ რჩება — უნდა ამოძრავეთ იგი და დახარჯო ენერგია ტვირთის შესაჩერებლად.

რაც შეეხება სამეცნიერო და სახალხო-სამეურნეო ექსპერიმენტების პროგრამას, განაგრძობს ვ. ბლაგოვი, ეფექტრობ, მის მიზვნელობასა და შედეგებზე დაწვრილებით ილაპარაკებენ მეცნიერები და სპეციალისტები დედამიწაზე ეკიპაჟის დაბრუნების შემდეგ. მხოლოდ ის შემიძლია ვთქვა, რომ „სალუტ-6“ სადგურის პიონერების ი. რომანენკოსა და გ. გრეჩკოს შემდეგ ძეორე ძირითადი ექსპედიციის ეკიპაჟი უაღრესად ნაყოფიერად მუშაობს. მაგალითად, „პროგრეს-4“ სატვირთო ხომალდი მათ დაცალეს თავიანთი საკუთარი ტექნოლოგიის მიხედვით, რომელსაც საფუძვლად პირადი გამოცდილება უდევს. ამის შედეგად ეს ძნელი ოპერაცია თითქმის ეთითოოროდ სწოავად დამთავრდა, ვიდრე პირველებმა.

ეკიპაჟმა ვირტუოზულად დაამუშავა მოქმედება ტექნოლოგიური „ღუმელების „კრისტალსა“ და „შეხადნობის“ ამუშავების დროს, რომლებშიც უკვე მოეწყო ოცდაათზე მეტი ექსპერიმენტი. მაღალი ნაყოფიერებით ხასიათდება პრაქტიკულად დედამიწის ორგანულ თითოეული სამუშაო გარემემდილა.

სანამ ახალ სამუშაო კვირას დაიწყებდნენ, კოსმონავტებმა კარგად დაისვენეს კვირა დღეს. ისინი ეესაუბრნენ ფრენის მართვის ცენტრში მიწვეულ ახლობლებს. სადგურში, ეკიპაჟის განკუთვნილებთ, გადასცეს ესტრადის ოსტატთა კონცერტი. ამ დღეს ვ. კოვალიონოკი და ა. ივანჩენკოვი, რომლებიც სუფრას უსხდნენ, მხურვალედ მიესალმნენ ქვეყნის კვეტილ მოეწველობის ოუშაკებს, რომლებიც 15 ოქტომბერს თავიანთი დღესასწაული აღნიშნეს. განსაკუთრებით მიესალმენენ იმ საწარმოს კოლექტივს, რომელიც უკვე მოაკვეწელია შეფობს კოსმოსური მეთიუს

ნ. ჟელეზნოვი,

ხაკდისის სპეც. კორ.

ფრენის მართვის ცენტრი.

ეს საინტერესოა

ერთი ვაზიც ვენახია

● გორის რაიონის სოფელ შერთულში „გორულას“ ჯიშის ერთი ვაზიდან ერთ ტონამდე ყურძენს იღებენ ● გაგაგებინებთ „გორულა“!

ვაზი რომ ხათანადო მოვლისა და აღზრდის პირობებში მეტად დამფასებელია, დიდი ხანია ვიცით. ვაზის მოსავლიანობა ხშირად მეტად დიდია და ზოგჯერ ისეთ ციფრს აღწევს, რომ ზოგმა შეიძლება არც კი დაიჯეროს. განა ცოტაა ისეთი შემთხვევა, როცა ერთ ვაზისგან ერთ მოსავალი ვენახისას უთანაბრდება და აძიტომაც ამბობენ ხოლმე — ერთი ვაზიც ვენახიაო.

ვაზის ძლიერი ზრდის უნარი სახით მოცემულია მის ბიოლოგიაში, რომელიც ევოლუციის პროცესში ჩამოყალიბდა. თავდაპირველად დამოუკიდებლად მოზარდი ბუჩქი, გამყინვარების შემდეგ ტყის გარემოში აღმოჩნდა, სადაც ძირეულად შეიცვალა მცენარის სტრუქტურა.

სინათლის მოყვარული მცენარე „ტყის ჭერზე“ უნდა გასულიყო, რისთვისაც მან სპეციალური ორგანო, აწყალი განვითარა, განვითარების ამ ეტაპზე სუსტი ზრდის ბუჩქი გარდაიქმნა მძლავრი ზრდის ლიანად. მერქნიანი ლიანები კი ძლიერი ზრდის მცენარეებია.

ძველ ლიტერატურულ წყაროებში აქა-იქ შემორჩენილი ცნობები უსუფესი გიგანტი ვაზების შესახებ დაფიქრებელი არ უნდა იყოს, რადგან საქართველოს სხვადასხვა კუთხეში დღესაც გვხვდება ერთეული ძირების სახით დიდი ფეებულებას, მაღალტანიანი, უხვმოსავლიანი გოლიათი ვაზები.

არსებული წყაროების მიხედვით, მერქნის საუკეთესო თვისებების გამო ვაზის ტანი (შტამბი) მრავალმარცვა ყოფილა გამოყენებული.

გელათის მონასტრის შესახებ ვახუშტი თავის ნაშრომში — „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ წერს: „ეკლესიის ბჭეს კაოდვს კარი მთლად ერთის ვაზისაგან გამოთალილი უცხოსა ხელოვნებით ქანდაკებული“.

სადღესოდ არსებული დიდი ვაზების შესწავლა ცხადყოფს, რომ სათალრე ჯიშების სწორი განლაგება და აგროტექნიკის განხორციელება ხელს შეუწყობს ყურძნის მოსავლის შემდგომ გადიდებას და უნიკალური ჯიშების აღდგენა-გამოვლენას.

ქართლის პირობებისათვის უხვმოსავლიანი სათალრე ჯიშებიდან ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს გორულას.

გორულა ძლიერი ზრდის უხვმოსავლიანი სათალრე ჯიშია. ამ ჯიშის ვაზი დიდ მოსავალს იძლევა. ამის საუკეთესო მაგალითია გორის რაიონის სოფელ შერთულში მდგარი გაყალღებული ვაზი, რომელზეც ჯერ კიდევ 24 წლის ასაკში წელიწადში 400-500 კილოგრამ ყურძენს კრეფდნენ.

სადღესოდ ეს ისეთად დიდი ციფრი თითქმის გაორმაგდა. 1978 წელს ერთი ვაზის ყურძნის მოსავალმა 960 კილოგრამს მიაღწია, ანასხლავი წალმის წონა კი 52 კილოგრამი იყო. დაბალშტამბიან ვაზთან შედარებით მოსავალსა და ანასხლავს შორის თანაფარდობა სრულიად განსხვავებულია.

ვაზის მწვანე მასა და სადღეს ტოქტები ლატამნეა ფანლოგებული. თალრის ჰორიზონტალურ თაღს 160 კვადრატული მეტრი ფართობი უჭირავს. შტამბი რამდენიმე ადგილას გადაღუნულია და სამი მეტრი სიმაღლე აქვს, ხოლო ძირის გარშემოწერილობა სხვადასხვა ადგილას 66-70 სანტიმეტრია. ვაზის დაფესვიანებული რქა დარგულია 1940 წელს, ვაზი ნამყენი კი არ არის, საკუთარ ფესვზეა.

ამ შემთხვევაში ზრდის სიძლიერე და მოსავლის რაოდენობა საყურადღებო. 960 კილოგრამი ყურძენი 160 კვადრატულ მეტრზე — საოცარია. პეტკარზე რომ გადავიანგარიშოთ, 600 ცენტნერს უდრის. ერთ კვადრატულ მეტრზე დაახლოებით 6 კილოგრამი ყურძენია მიღებული. გორულას პროდუქტიულობა თალარზე საკმაოდ დიდია, რადგან, როგორც ვიცით, ვენახის ჰექტარზე 100 ცენტნერი მოსავლის მიღების შემთხვევაში კვადრატულ მეტრზე ერთი კილოგრამი ყურძენი მოდის.

გორულა ძირითადად სუფრის ჯიშია. ქართლის რაიონებში მისგან ღვინოსაც აყენებენ. ერთი ვაზის მოსავლიდან — 5 კოკა ღვინო ხმარად დაუყენებიათ, ხოლო უბმოსავლიან წელს 8-კოკიანი ქვევრი გაუვსია (შერთულში ერთი კოკა თითმოცი ლიტრია).

გორულა შედარებით ყინვაგამძლეა, მაგრამ ამ ზონაში იგი ხან გაზაფხულის სუსხიანი ქარისაგან, ხან კი ზამთრის ყინვებისაგან ზიანდება. ვაზის მოყინვისას გამოარკვა, რომ ყველაზე ადვილად ამორაყარი და მსხვილი რქის კვირტები ზიანდება, კარგად მომწიფებული ნამხარი და რქა კი მეტ გამძლეობას იჩენს, რაც გასათვალისწინებელია სხვლის დროს.

ამ გოლიათი ვაზის პატრონი ძველი კომუნისტი, სამამულო ომის მონაწილე, საკოლმეურნეო მშენებლობის ვეტერანი ალექსი გოხელაშვილი გორის რაიონის სოფელ შერთულიდან ნერგებით უხვად ამარაგებს მოსახლეობას.

აღსანიშნავია, რომ გოლიათი გორულას სანახავად კახეთიდანაც ჩამოსულან. „ჰანდრის გიგანტის“ მეპატრონეს ძლიერ მოსწონებია უჩვეულო სიდიდის ვაზი და ნერგები მოუთხოვია. იმედია, გორულა ვაზის უხვმოსავლიანობით სხვებანაც დაინტერესდებიან. გარდა ამისა, განა ურიგო იქნება, რომ საზოგადოებრივ მეურნეობათა ვენახების თავსა და ბოლოს გორულა გავაშენოთ?

ა. მათიაშვილი,

სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი.

* * *

ხურათზე: გორის რაიონის სოფელ შერთულის მცხოვრები ალ. გოხელაშვილი თავის თალართან.



ნაცვამლის ამთებო!

ცხვრის ფარები ზამთრის საძოვრებისაკენ დაიძრნენ

მთაში აცივდა, ზოგან მწვერვალები დათოვა კიდეც. მწყემსებმა გუდა-ნაბადი აიკრეს და ბარისაკენ აიღეს გეზი. ალაღებს ბილიკები და ვიწრო გზები უკვე გამოიარეს წითელწყაროს რაიონის გამარჯვების კოლმეურნეობის ცხვრის ფარებმა და შარაგზებზე გამოვიდნენ. ახლა მთიანი რაიონის სოფლებში გზებზე გავლა ჭირს. მოდის და მოდის ალაღებზე გახეჭებული ცხვარი. ფარები ნელა, ზოზინით მიიწევენ წინ, თითქოს არც ეჩქარებათო: ზოგან მერთვლეებსაც უშლიან ხელს, ყურძნით დატვირთული მანქანების მოძრაობა ფერხდება, მაგრამ არც მეზვრეები და არც მეცხვარეები არ ბრაზობენ — ჩვენია, რა ვქნათო.

ზამთრის ხაძოვრებზე კი, ვიდრე ცხვარ-მეცხვარე დაბრუნდებოდა, მუშაობა გაცხარებით მიმდინარეობდა. ცხვრის ხადგომებს ათბუნებდნენ, მწყემსთა საცხოვრებელი ბინები სრულ წესრიგში მოჰყავდათ, ამარაგებდნენ ინვენტარს, უმატებდნენ მწყემსთა ხელოსებს და სხვა მრავალი.

ცხვარი მალე დაბინავდება კახეთის პირეთში, შირაქსა და ტარიბანაში, ივრის ხეობაში, მანამდე კი გრძელი გზა აქვთ გასავლელი გამრჯე მეცხვარეებს. ეს ხურათებიც გზაშია გადაღებული. გამარჯვების კოლმეურნეობის თეთრი ქარავნები ივრის ხეობაკენ მიემართებიან.

ს. ჟილაძის ფოტო.

სოფლის სიახლენი

მახარაძე. გურიანთა გაშლილია მდინარე ნატანების სანაპიროზე. იგი რაიონში ერთ-ერთი ულამაზესი სოფელია. სოფელს ამშვენებს კოლმეურნეობის ადმინისტრაციული სახლის, საშუალო სკოლის, კულტურულ-საგანმანათლებლო და საყოფაცხოვრებო მომსახურების ახალი შენობები. ჩაის ფაბრიკის ეზოში გაზონები, სკვერები, ხეივნებია გაშენებული.

სოფლის განაპირას, ვაშნარის გელზე ორი ხიმო საფლავია: 1918 წელს თურქ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლაში დაღუპული პატრიოტებისა და 1919 წლის ნოემბერში მენშევიკების მიერ დახვრეტილ რვა კომუნარის წმინდა საფავე. კოლმეურნეობამ მათ პატივსაცემად მემორიალი ააგო. სოფლის ცენტრში აღმართულია შინმოუსვლელთა ობელისკი.

სოფლის მშრომელებმა გურიანთის მთიდან წყაროს წყალი გამოიყვანეს, მეთვეზეობის სატბორე მოაწყვეს და ბრტყელშუბლა და კობრი მოაშენეს.

შ. ზაქარიაძე

მატჩი ზაფხლის პირველობაზე

ჩემპიონის უპირატესობით

ბაბიო. გუშინ გაიმართა ა. კარპოვსა და ვ. კორჩნოის შორის მსოფლიო პირველობის მატჩის ოცდამეთორმეტე პარტია, რომელიც 41-ე სვლაზე გაფაიდო.

გთავაზობთ ამ პარტიის ჩანაწერს:

კარპოვი-კორჩნოი

უფიმცევის დაცვა

1. e4 d6 2. d4 ∂f6 3. ∂c3 g6 4. ∂f3 ♇g7 5. ♇e2 0-0 6. 0-0 c5 7. d5 ∂a6 8. ♇f4 ∂c7 9. a4 b6 10. ♇e1 ♇b7 11. ♇c4 ∂h5 12. ♇g5 ∂f6 13. ♇d3 a6 14. ∂ad1 ♇b8 15. h3 ∂d7 16. ♇e3 ♇a8 17. ♇h6 b5 18. ♇:g7 ∂e:g7 19. ♇f1 ∂f6 20. ab ab 21. ∂e2 ♇b7 22. ∂g3 ♇a8 23. c3 ♇a4 24. ♇d3 ♇a8 25. e5 de 26. ♇:e5 ∂:d5 27. ♇:h5 ♇a7 28. ∂h4 ♇c8 29. ♇e2 ♇e6 30. c4 ∂b4 31. ♇:c5 ♇b8 32. ♇f1 ♇c8 33. ♇g5 ∂:g5 34. ♇d2 ∂c6 35. ♇h6 ♇g8 36. ∂f3 ♇f8 37. ♇e3 ∂:g7 38. ∂g5 ♇d7 39. b4 ♇a8 40. b5 ∂a5 41. b6 აქ პარტია გადადო.

კარპოვმა მანევრული თამაშით დებიუტში პოზიციურ უპირატესობას მიაღწია. თეთრები ნელნელა აძლიერებდნენ დაწოლას ცენტრში, შავები კი ლაზიერის ფრთაზე ეყრდნენ კონტრშანსებს. მას შემდეგ, რაც თეთრმა პიაკმა დაიკავა e5 უჯრა, პრეტენდენტი იძულებული შეიქმნა დაცვაზე გადასულიყო. ოცდამეთორმეტე სვლაზე კარპოვმა მოიგო პიაკი, შემდეგ კი დაძრა თავისი გამსვლელი ლაზიერის ფრთაზე.

პარტია გადაიდო პოზიციაში, სადაც მსოფლიო ჩემპიონს ზედმეტი პიაკი და პოზიციური უპირატესობა აქვს.

18 ოქტომბერს უნდა მოეწყოს ამ გადადებული პარტიის დასრულება.

ქალთა საკავშირო

ქალაქ ნიკოლაევში გრძელდება სსრ კავშირის ოცდამეთვრამეტე ჩემპიონატი მოჭადრაკე ქალთა შორის.

მეათე ტურში ფატალიბეკოვამ დამარცხა ზაიცევა, ჩეხოვამ — ხუგამელი, ტიტორენკომ — პოლარევა, დვორეტინამ — სტერნინა, გურიელმა — მინოგორნა. ყაბილი დამთავრდა პეტროსა და წერეთლის შეხვედრა. სამი პარტია გადადიდო.

ათი ტურის შემდეგ ლიდერობენ სემიონოვა (1 გადადებული) და ლევტინა — 7,5-7-5 ქულა. მომდევნო ადგილებზე არიან ფატალიბეკოვა და გურიელი — 6,5-6,5 ქულა.

გაჟღერინტონი

პირველად ბათუმში

ბათუმში დამთავრდა პირველი საკავშირო ღია ტურნირი ბადმინტონისტთა შორის. ასპარეზობაზე გათამაშდა საქართველოს სპორტკომიტეტის პრიზები, ვიდრე ერთეულებში უძლიერესი იყო კიეველი ვ. შვაჩკო, ქალთა ერთეულებში — კუსტანაელი ტ. პოზდნიაკოვა. ეაჟთა წყვილებში გაიმარჯვეს კიეველებმა ვ. შვაჩკომ და ვ. ნიკიფოროვმა, შერეულში — ვ. შვაჩკომ და ლ. სუსლომ.

ჩვენი რესპუბლიკიდან მესამე საპრიზო ადგილები დაიკავეს სოხუმელებმა — ძმებმა გ. და მ. ნერსისიანებმა (ვაჟთა წყვილები), ფერეთელ, ბათუმელებმა გ. ნიკოლაძემ და ე. პოლოსიანმა (შერეული წყვილები).

ფეხბურთი

ქვლავ ფოთის „ჭოლხეთი“

ბაიმართა ფეხბურთში საქართველოს პირველობის მეორეოცეტურის მატჩები. ამ ტურის შემდეგ გათამაშების ცხრილში კვლავ პირველ ადგილზეა ფოთის „ჭოლხეთი“ — 34 ქულა. მას ორი ქულით ჩამორჩება რუსთაველის „მეტალურგი“, 51 ქულით მესამე ადგილზეა გალის „მზეური“. ლიდერებს 36-36 მატჩი აქვთ გამართული.



ოლიმპიური ტრასა

ბუქარესტი, 17 ოქტომბერი. (საკუთარი კორ.). „ოლიმპიადა-80“-ის საორგანიზაციო კომიტეტმა და რუმინეთის ოლიმპიურმა კომიტეტმა შეათანხმეს მარშრუტი, რომლითაც გაიელის ოლიმპიური ცეცხლის ესტაფეტა.

მისი სიგრძე სოციალისტური რუმინეთის გზებზე შეადგენს 561 კილომეტრს. ბულგარეთის სასაზღვრო ქალაქ ჯუჯიდან ოლიმპიურ ცეცხლს მიიტანენ ბუკარესტში და შემდეგ განაგრძობენ გზას ბუზეუს, რომინიუ-სერატის, ფოკშანის, მერეშეშტის, აჯუდის, ბაკეუს, რომანის, ტირგუ-ფრუმოსის, იასის, ალბიციის გავლით. ოლიმპიური ცეცხლის საზეიმო გადაცემა ხაბჭოთა სპორტსმენებისათვის გაიმართება მოლდავეთის დასახლებულ პუნქტ ლუეშენში.

ოლიმპიური ცეცხლის ტარების პატივი ხვდათ ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენებს — ოლიმპიურ ჩემპიონებს. მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონებს.

მოკლედ

ხელგაურთი. გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში სტუმრად მყოფმა სსრ კავშირის ხელბურთელ ქალთა ნაკრებმა ორი გამარჯვება მოიპოვა მასპინძელთა ნაკრებ „კოლექტივთან“ — 17:9 და 19:15.

ჩოგბურთი. ბარსელონაში გამართული საერთაშორისო ტურნირის ფინალში უნგრელმა ბ. ტაროციმ დაამარცხა რუმინელი ი. ნასტასე (1:6, 7:5, 4:6, 6:3, 6:4). ქალთა შორის უძლიერესი იყო ჰანა მანდლიკოვა (ჩეხოსლოვაკია), რომელმაც ფინალში სძლია იტალიელ სანინა ხომონდს (6:1, 5:7, 6:3).

„ჰერტა“ მეტოქეთა თვალით

დღეს ევროპის სტადიონებზე გაიმართება კონტინენტის თახების გათამაშების მორიგი მატჩები. ამ უაღრესად საინტერესო შეჯიბრებებში სსრ კავშირიდან სამი კოლექტივი აგრძელებს ახპარეზობას. კიევის „დინამო“ ხარკოვში უმასპინძლებს შვეიცის „მალმეს“. ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების ამ პირველი მერვედფინალური მატჩის ტელეტრანსლაცია დაიწყება 20 საათზე თბილისის დროით. უეფას თასის გათამაშების მეთექვსმეტედფინალური შეხვედრა „ტორპედოსა“ და „შტუტგარტს“ (გფრ) შორის გაიმართება მოსკოვში. ამ მატჩის ტელეტრანსლაცია დაიწყება თბილისის დროით 22 საათსა და 30 წუთზე. თბილისის „დინამო“ უეფას თასის გათამაშების პირველ მეთექვსმეტედფინალურ მატჩს გამართავს დასავლეთ ბერლინში „ჰერტასთან“. ქვემოთ გთავაზობთ მასალას დინამოელთა მეტოქის შესახებ.

ჩვენი მკითხველები უკვე ინფორმირებულნი არიან დასავლეთ ბერლინის „ჰერტას“ კლუბის შესახებ, რომელიც უეფას თასის გათამაშების მეორე წრეში თბილისის „დინამოს“ მეტოქეა. დღეს გთავაზობთ ზოგიერთ ახალ ცნობას.

როგორც ცნობილია, უეფას თასის პირველ წრეში „ჰერტა“, რომელმაც წარუმატებლად დაწყო ეროვნული ჩემპიონატი, შეხვდა ბულგარეთის პირველობის „პროზორის „თრაკიას“ (პლოვდივი). პირველი მატჩი დასავლეთ ბერლინში გაიმართა და მაინცდამაინც დიდი ინტერესი არ გამოუწვევია. მას სოფიის გზეთ „ნაროდნენ სპორტის“ ცნობით სულ ოთხი ათასი მაყურებელი ესწრებოდა. მასპინძლებმა საკმაოდ უფერულად ითამაშეს, „თრაკია“ კი შეუპოვრად მოქმედებდა და ფრეს (0:0) მიაღწია. ეს ფრე ბულგარელმა მიმთმხილველებმა შეაფასეს როგორც მოგების დარი, მაგრამ...

მეორე შეხვედრა პლოვდივის „9 სექტემბრის სახელობის“ სტადიონზე გაიმართა. მას 33 ათასი მაყურებელი ესწრებოდა. ამ დღეს არ თამაშობდა ბერერი, რომელიც „ჰერტაში“ წამყვანი ფიგურა გახლავთ.

ეი ვაზეთ „ნაროდნენ სპორტში“ გამოქვეყნებული ამ მატჩის ანგარიშის ერთი ნაწილი:

„თრაკიის“ მიერ დასავლეთ ბერლინში პირველი მატჩის ფრედ დამთავრების შემდეგ მიღებული სიგნალები არავითარ შემთხვევაში არ აღმოჩნდა გაზვიადებული! „ჰერტას“ სწრაფმა და ტექნიკურმა ფეხბურთელებმა შეუნელებელი მოძრაობითა და მანევრებით დაიპყრეს მინდორი, ისინი ერთთავად აადგილებდნენ ძალებს წინ და უკან. სტუმრების ხსაიერმა გრანიცამ გამოიყენა პეიჩევის შეცდომა და გახსნა ანგარიში. ამის შემდეგ „თრაკიის“ ფეხბურთელებმა ასევე მიმართეს თავიანთ მთავარ იარაღს — სწრაფეს, და კონტრშეტევაზე გადავიდნენ. ამას ნაყოფი არ გამოუღია. სტუმრები ბულგარელ ფეხბურთელებს პერსონალურად მეურვეობენ. შესვენების წინ გერსდორფმა დრიბლინგით ჩამოიტოვა პლოვდიელთა მცველები და ზუსტად მიაწოდა ბურთი კარის წინ გახსნილ გრანიცას — 2:0.

ამის შემდეგ „თრაკიამ“ უამრავი ხელსაყრელი მომენტიდან მხოლოდ ერთი შესაძლებლობა გამოიყენა—მე-40 წუთზე ბურთი გაიტანა ანგიროვმა. ეს იყო და ეს. ბულგარელები დამარცხდნენ — 1:2.

როგორც ვხედავთ, ბულგარელი მიმომხილველი მაღალ შეფასებას აძლევს სტუმრების თამაშს. აქ ის გარემოებაც უნდა ვიგულისხმინოთ, რომ მინდორზე არ იყო „ჰერტას“ ნამდვილი სული და გული ბეერი, რომელიც სტარტზე რამდენიმე თამაშში გამოტოვა. გაზეთები „უხვერე ცაიტი“ (დიუსელდორფი) და „დი ვარპაიტი“ (დას. ბერლინი), რომლებიც ჩვეულებრივ, დიდ ყურადღებას უთმობენ „ჰერტას“ თამაშს, ძალიან ხშირად აქებენ სპორტის ბუნდესლიგის გუნდების მწვრთნელებთან. კერძოდ, თითქმის ყოველი ტურის შემდეგ კორესპონდენტებს მოკლე ინტერვიუს აძლევს „ჰერტას“ მწვრთნელი კლოტაცერი. მწვრთნელი უკმაყოფილო იყო თავისი გუნდის თამაშით, სანამ „ჰერტას“ ბეერი აკლდა. მას შემდეგ კი, რაც ეს გამოცდილი ფეხბურთელი დაბრუნდა, კლოტაცერის გამოსვლების ტონი შეიცვალა. ეს გასაგებიც არის — ორ ალენდალურ მატჩში ბეერმა 5 (!) ბურთი გაიტანა და დაეწია გერდ მიულერი (მიუნხენის „ბაიერნი“) — დასავლეთგერმანული და საერთაშორისო ფეხბურთის სწორუპოვარ სნაიპერს! ბეერი 32 წლისაა. მან აბგენტინადან დაბრუნების შემდეგ განაცხადა, რომ ამერიკიდან ნაკრებს სამუდამოდ გამოეთხოვებოდა, თუმცა ეს გადაწყვეტილება შეიძლება საბოლოო არც იყოს.

როდესაც ბეერზე ვლაპარაკობთ, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ „ჰერტას“ კიდევ ჰყავს ორი ყარგად ცნობილი ოსტატი, როელთაც ნაკრებში უთამაშიათ. მეკარე ნიგბერი 30 წლისაა... 1974 წელს მსოფლიო ჩემპიონატის დროს იგი ითვლებოდა ნაკრების მეორე მეკარედ. მას სპეციალისტები ახლაც ძალიან აქებენ. უნდა აღინიშნოს 32 წლის გერსდორფიც. 1974 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შემდგომ პერიოდში, როდესაც ნაკრები მიატოვა განთქმულმა გერდ მიულერმა, ჰელმუტ შონი თითქმის ორი წლის მანძილზე (ევროპის ჩემპიონატამდე) ეძებდა მის შემცველს და სხვებთან ერთად გერსდორფი გამოსცადა. ეს უკვე „ჰერტას“ ცენტრალური თავდამსხმელის ხიბებულ კლასზე მეტყველებს.

და ბოლოს, თუმცა „ჰერტას“ დანარჩენ ფეხბურთელებს ნაკლებად იცნობენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ ისინი ბუნდესლიგაში თამაშობენ, იგი კი მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ ლიგად ითვლება.

გ. გამრეკელი.

რედაქტორი

დ. მჟელდლიშვილი.

ს. თიბილოვი

ეროვნული მიგლეთი

ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საქართველოს სსრ მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის მთავარი სპეციალისტი, რესპუბლიკის დამსახურებული აგრონომი, ღვაწლმოსილი საბჭოთა და საბეურნეო მუშაკი, შრომის ვეტერანი, 1925 წლიდან სკკპ წევრი, საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი სიმონ გრიგოლის ძე თიბილოვი.

ს. თიბილოვი დაიბადა 1900 წელს ქ. ცხინვალში, მუშის ოჯახში. მან განვლო ცხოვრებისა და შემოქმედებითი მოღვაწეობის ბრძოლისა და ბედნიერების გზა.

საბჭოთა ოსეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე წლებში ს. თიბილოვს მოუხდა მუშაობა კომკავშირულ და საბჭოთა ხელმძღვანელ ორგანოებში, იყო კომკავშირის ცხინვალის რაიკომის მდივანი.

1929 წელს თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სასოფლო-საბეურნეო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობას იწყებს ქ. ცხინვალში სასოფლო-საბეურნეო კოოპერაციის გამგეობის თავმჯდომარის მოადგილედ, ხოლო 1931 წელს გზავნილ ქ. მოსკოვში ასპირანტურაში. 1932 წლიდან მოყოლებული იგი სხვადასხვა დროს ძმაყოფებოდა საბჭოთა ოსეთის მთელი რიგი საბეურნეო-საბეურნეო დაწესებულებების ხელმძღვანელ თანამდებობებზე.

ს. თიბილოვი ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა საბჭოთა ოსეთის სოფლის მეურნეობის საოლქო საბჭოთა აღმასკომის, სადაც ის ასრულებდა სამმხრივ ოლქის ეკონომიკურ-ფინანსურ ინსპექტორად, ოლქის ეკონომიკურ-ფინანსურ ინსპექციის